

ნიკოლოზ მურღულია

ნაფიჩხოვო და კურზუ - ეგრისის სამეფოს პერიოდის ორი ახალი ციხე ჩხორონწყუს და მარტვილის რაიონებიდან

2010 წლის გაზაფხულზე ბრიტანული სამეცნიერო ფონდის "FaRiG"-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა სამეგრელოს რეგიონში მდებარე, სამეცნიერო წრეებისათვის სრულიად უცნობი ორი ახალი ციხე (ნაფიჩხოვო და კურზუ), რომლებიც ზოგადად ეგრისის სამეფოს პერიოდით (IV-VI სს.) თარიღდება. ექსპედიციის დროს მოხერხდა აღნიშნული ორი ციხის სრული აღწერა, ჩახაზვა, ფოტოგრაფირება, GPS კოორდინატებისა და სიმაღლეების აღება.

ციხეების შესწავლის მეთოდის რამდენიმე მიმართულებას მოიცავდა: 1. ძეგლების ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი მათი სამშენებლო მასალით და ტექნიკით დასათარიღებლად; 2. ძეგლზე არსებული ზედაპირული არქეოლოგიური მასალის მოძიება-აკრეფა, ციხეთა უფრო ზუსტად დასათარიღებლად; 3. ძეგლის გეოგრაფიულ გარემოზე დაკვირვება ციხეთა იმ ადგილზე აშენების მიზნებისა და მათი დანიშნულებების გასარკვევად; 4. ლანდშაფტური არქეოლოგიის ელემენტების გამოყენება, – არქეოლოგიური გათხრების ჩატარების გარეშე მიწის ქვეშ არსებული ძეგლების აღწერა-შესწავლა, რომლებიც წარმოდგენილია, მიწის ზემოთ არსებული ხელოვნური ბორცვებით, შემადლებებით, ჩაღრმავებებით და სხვ.

სამწუხაროდ, გამოვლენილ ძეგლებზე წერილობით წყაროებში ცნობები არ მოიპოვება. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, თუ რა სახელს ატარებდა თავის დროზე აღნიშნული ციხეები. აქედან გამომდინარე მათი სახელები პირობითია და იდენტიფიკაციისათვის გამოყენებულია ის ტოპონიმები, რომლებიც ძეგლების სიახლოვეს ფიქსირდება. „ნაფიჩხოვო“ და „კურზუ“ იმ ორი სოფლის სახელებია, სადაც ეს ციხეები გამოვლინდა. ამ ორი ძეგლის სამშენებლო ტექნიკა ტიპურია IV-VI საუკუნეებისთვის – ისინი ნაგებია კლდის ფლეთილი ქვებით; კურზუს ციხეს გარს უვლის ხელოვნური თავდაცვითი თხრილი; თითოეულისთვის შეურჩევიათ ისეთი სტრატეგიული მდებარეობა, რომ მტრისთვის სიმაგრის აღება მეტად რთული ყოფილიყო. კურზუს ციხე გამაგრებული იყო გალავანში ჩაშენებული ოთხკუთხა კოშკით. ნაფიჩხოვოს ციხე მცირე ზომისაა და დამატებით კოშკის აშენება საჭირო არ იყო.

ნაფიჩხოვო

ციხე მდებარეობს ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ნაფიჩხოვოს ჩრდილო-აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, ლებერიეს უბანში, ერთ-ერთ შემალლებულ პლატოზე (GPS კოორდინატები: N42 36.119 E42 16.303; სიმაღლე: 430 მ.).*

ციხეს ჩრდილოეთით 200 მეტრში მაღალი მთა ებჯინება, ისე, რომ ამ მხრიდან ციხის ტერიტორიაზე მოხვედრა რთული იქნებოდა. ზოგადად, მის გარშემო მთიანი რელიეფია და ციხემდე მისასვლელად არაერთი შემალლების დაძლევა არის საჭირო.... დღეისათვის იქ მისვლა დასავლეთ მხრიდან არის შესაძლებელი.

როგორც უკვე აღინიშნა, ციხე ერთ-ერთ შემალლებულ პლატოზეა აშენებული და მისგან ყველა მიმართულებით 200 მ მანძილზე (გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთისა), გაშლილი ტერიტორიებია. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი უშუალოდ ციხის გალავანს ებჯინება ციცაბო ფერდობი და შესაბამისად ამ მიმართულებიდან ციხესთან მიახლოვება შეუძლებელია.

ციხე თითქმის სრულად არის დანგრეული; მისი დასავლეთ გალავანი I მ სიმაღლეზეა შემორჩენილი და სიგრძით 15 მ-ს აღწევს. ყველაზე უკეთ – 3-4 მეტრ სიმაღლეზეა შემორჩენილი ჩრდილოეთ გალავნის დას. მონაკვეთი (სურ. 4), ხოლო დანარჩენი კედლები ან სრულად არის გამქრალი ან მიწის დონეზე იკითხება. მიუხედავად ამისა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ციხე გეგმაში არანესიერი მართკუთხედის ფორმის იქნებოდა, რომელსაც ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ გალავნები სწორხაზოვანი უნდა ჰქონოდა, ხოლო აღმოსავლეთის – ოდნავ წრიული (სურ. 5). ციხის კედლების ძლიერი დაზიანების მიუხედავად ხერხდება მისი სამშენებლო ტექნიკის განსაზღვრაც – გალავნების საპირე წყობები ნაგებია უხეშად გათლილი კირქვებით, რიგების დაცვის გარეშე, კირის დულაბზე; მეტი სიმტკიცისათვის კირთან ერთად საპირე წყობებს შორის სხვადასხვა ჯიშის ქვაა ჩაყრილი. კედლის სისქე 1.20 მ-ს აღწევს, ციხის სრული ზომებია: 11.5 მ (W-E) x 15 მ (N-S).

სამწუხაროდ, ციხის მონახულების დროს ძლიერი წვიმისა და ნისლის გამო 50 მეტრზე შორს თვალთახედვა შეზღუდული იყო და შესაბამისად ვერ მოხერხდა ციხიდან სავარაუდოდ დასაზვე-

* ნაფიჩხოვოს ციხე, სოფელში არსებული მთიანი რელიეფის გამო რთული მისაგნებია, ციხესთან მისასვლელად მეგზურობა გაგვიწია ადგილობრივმა მკვიდრმა, რეზო (ფორა) ფაცაციაშვილმა, მანვე მოგვანოდა ინფორმაცია სოფ. კურზუში მდებარე ციხის თაობაზე და დაგვეხმარა მის მოძებნაში, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ.

რი ტერიტორიების დანახვა. თუმცა, როგორც ჩვენმა მეგზურმა რ. ფაცაცამ განგვიცხადა, კარგ ამინდში ნაფიჩხოვოს ციხიდან სამხრეთით საკმაოდ დიდი ტერიტორიების დაზვერვა შესაძლებელი – იქედან კარგად ჩანს მდ. ოჩხომურის ხეობა და ნაფიჩხოვოს ციხიდან სამხრეთით 2.5 კმ-ში მდებარე კურზუს ციხე. ბ-ნი ფაცაციას ნათქვამის გადამოწმება მოვახერხეთ პროგრამა Google Earth-ში, სადაც კარგად ჩანს, რომ ამ ორ ციხეს შორის ვიზუალური კავშირის არსებობა, სრულიად რეალურია (სურ. 6).

ციხის მდებარეობა, გეგმარება და სამშენებლო ტექნიკა გვაფიქრებინებს, რომ ის IV-VI სს-ში უნდა იყოს აგებული და შესაბამისად ის ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ნაწილი უნდა ყოფილიყო.

კურზუ

ციხე მდებარეობს მარტვილის რაიონის სოფ. კურზუს ჩრდილოეთ ნაწილში, უბან გოდოგანში (GPS კოორდინატები: N 42 34.779 E 42 16.623; სიმაღლე: 458 მ.). ციხე აშენებულია სოფელში მდებარე, W-E დამხრობის ნაგრძელებული მთის ქიმზე. ციხის მიმდებარე ტერიტორია ზოგადად მთა-გორიანია, ხოლო თავად ციხე აშენებულია ფართობით პატარა, თუმცა მეტად ციცაბო კალთებიან გორაკზე. (სურ. 7). ციხეს ჩრდილოეთ მხრიდან დაახ. 200 მეტრში პატარა მდინარე შებე ჩამოუდის, ხოლო სამხრეთის მხრიდან ასევე მომცრო ზომის მდინარე ცენდირი.

ციხე ძლიერ არის დანგრეული, თუმცა მისი გეგმარება მაინც იკითხება – მისი გალავნები მთის ქედის კიდეს გაყვება და მის ფორმებს იმეორებს ანუ ნაგრძელებულია W-E ხაზზე (სურ. 8). ციხის შიდა ტერიტორია სამ ნაწილად არის დაყოფილი: სამხრეთი ნაწილი წარმოდგენს გალავნით შემოსაზღვრულ ტერიტორიას, რომლის აღმოსავლეთ გალავანიც წრიული მოხაზულობისაა, ხოლო სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლები ოდნავი მომრგვალებით მიემართება დასავლეთ მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხის სამხრეთ გალავანი თითქმის სრულად არის ჩაქცეული და შემორჩენილია მხოლოდ 30-40 სმ სიმაღლის ამობურცული ხაზი, რომელიც სავარაუდოდ გალავნის ნაშთი უნდა იყოს. დანარჩენი კედლები 1-3 მეტრ სიმაღლეზეა შემორჩენილი, კედლის სისქე 1.10 მ-ია. ციხის ამ ნაწილის დაახლოებითი ზომებია 10 მ. (S-N) x 15 მ (W-E).

ციხის ზემოთაღწერილი აღმოსავლეთ მონაკვეთი დასავლეთით უერთდება ოთხკუთხა კოშკს, რომლის დიდი ნაწილიც დან-

გრეულია მიწის დონეზე და შესაბამისად მისი ზუსტი ზომების დადგენა ჭირს. კოშკის სავარაუდო ზომებია - 7.60 მ x 7.80 მ; კედლების სისქე 1.50 მ-ია;

საინტერესოა, რომ კოშკს დასავლეთ მხრიდან ებჯინება კიდეც ერთი ნახევარწრიული მოხაზულობის კოშკი, რომლის მხოლოდ აღმოსავლეთ გალავანია შემორჩენილი 4 მეტრ სიმაღლეზე, დანარჩენი კედლები კი მხოლოდ წრიული ფორმის ბურცობის სახით არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ციხის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარე ნახევარწრიული კოშკის აღმოსავლეთი კედელი და მის აღმოსავლეთით მდგარი ოთხკუთხა კოშკის დასავლეთი კედელი ერთმანეთისგან დაცილებულია 40 სმ-ით. ძნელი დასადგენია, თუ რას ემსახურებოდა კოშკებს შორის დაცილებული 40 სმ-იანი სივრცე და რატომ არ მიაშენეს ეს ორი კოშკი ერთმანეთს მიბჯენით. ასევე საინტერესოა, რომ ამ ორი კედლის ჩრდილოეთ დაბოლებიდან გამოდის კიდეც ერთი კედელი (სისქე 1.50 მ) და ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით მიემართება. აღნიშნული კედელი მხოლოდ 1.60 მ. სიგრძეზეა შემორჩენილი და შემდგომ მინაში იკარგება – სავარაუდოდ მისი დანარჩენი ნაწილი დროთა განმავლობაში ფერდობში ჩაიქცა. ამ კედელს ჭრილის შუა ნაწილში აქვს ოთხკუთხა ფოსო (20 სმ x 28 სმ), რომელიც კედლის სიღმეში 1.20 მ-ზე შედის – სავარაუდოდ ეს უნდა ყოფილიყო ან ციხის შიდა ტერიტორიიდან გარეთ გამოსადენი წყლის არხი ან ციხეში ჩრდილოეთ მხრიდან შესასვლელი ჭიშკრის ჩამკეტი ძელის ჩასასმელი ფოსო (სურ. 9), რაც გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ციხეს ჩრდილოეთ მხრიდან დამატებით ექნებოდა მინაშენი, რომელიც დღეს სრულად არის დანგრეული და მისგან შემორჩენილია მხოლოდ ზემოთ აღწერილი კედლის მცირე მონაკვეთი.

ციხის გალავნები და კოშკები ნაგებია უხეშად გათლილი კირქვებით, კირის დულაბზე, უმეტესად რიგების დაცვით. საინტერესოა, რომ ციხის ჩრდილოეთ გალავანში კირქვის სამშენებლო წყობას დაშენებული აქვს რიყის ქვებით ნაგები რიგები, რაც იმის მანიშნებელია, რომ ციხე გვიან შუა საუკუნეებში აღუდგენიათ (სურ. 10). ასევე რიყის ქვებით ნაგები კედლის ნაშთია შემორჩენილი ციხის დასავლეთით. როგორც უკვე აღინიშნა, ციხე მდებარეობს მცირე ფართობის, მაგრამ საკმაოდ მაღალ ბორცვზე, რომელიც თავის მხრივ W-E დამხრობის მთის ქიმზე მდებარეობს – ამ მთის ქიმის გაყოლებაზე დაახ. 100 მეტრ სიგრძეზე, მიწის დონიდან 20 სმ სიმაღლეზე იკვეთება სწორხაზოვანი კედლის კვალი, რომელიც 1 მ სისქისაა. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით,

ეს კედელი ეშვება ფერდობზე, სოფლისკენ, სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებით. თუმცა, ზედაპირული დაზვერვებით, ამ კედლის გაგრძელებას ვერ მივაკვლიეთ.

ციხის მდებარეობის, გეგმარების და სამშენებლო ტექნიკის ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ის ეგრისის სამეფოს არსებობის პერიოდში (IV-VI სს) უნდა იყოს აშენებული. ამ მოსაზრებას ამყარებს ციხის გარშემო გამოვლენილი ხელოვნური თავდაცვითი თხრილი, რომელიც ეგრისის სამეფოს ციხე-სიმაგრეებისთვის არის დამახასიათებელი [2: 150-152, 163; 3: 205-218].

თხრილი ციხის გალავნებს დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ მხრიდან უვლის გარს; ის 5 მ-მდე სიგანის და 1.5 მ-მდე სიღრმისაა, თუმცა საფიქრებელია, რომ საუკუნეთა მანძილზე თხრილი ჩამონაშალი მიწით შეივსებოდა და შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ თავის დროზე ის უფრო განიერი და ღრმა იქნებოდა.

ნაფიჩხოვოს და კურზუს ციხეების ფუნქციის განსაზღვრისას უპირველეს ყოვლისა ყურადღება მისაქცევია მათი ურთიერთმიმართება – კურზუს ციხიდან ჩრდილოეთით კარგად მოჩანს 2.5 კმ-ში მდებარე ნაფიჩხოვოს ციხე, ჩრდილო-დასავლეთით კი 7 კმ-ში მდებარე ოსინდალეს ციხე; ხოლო სამხრეთით შესაძლებელია ვრცელი ტერიტორიების დაზვერვა თამაკონის ციხემდე, რომელიც კურზუდან 13 კმ-ით არის დაცილებული. შესაბამისად, კურზუს ციხის სამხრეთით შემჩნეული მტრის მოძრაობის შესახებ, ციხის გუშაგები ინფორმაციას ცეცხლის ან კვამლის მეშვეობით როგორც ნაფიჩხოვოს, ისე ოსინდალეს ციხის მიმართულებით გადასცემდნენ (სურ. 12).

საფიქრებელია, რომ, ნაფიჩხოვოს ციხეს, უპირველეს ყოვლისა, საგუშაგო-სასიგნალო ფუნქცია უნდა ჰქონოდა, ამის თქმის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ იქედან სამხრეთით იზვერება მდ. ოჩხომურის ხეობა და კურზუს ციხე, შესაბამისად ნაფიჩხოვოს ციხიდან შესაძლებელი იქნებოდა, როგორც ოჩხომურის ხეობის ვიზუალური კონტროლი, ისე კურზუდან მომავალი სიგნალის დანახვა ან პირიქით ნიშანის გადაცემა კურზუს ციხის გუშაგებისთვის.

ჩვენი ვარაუდით, ნაფიჩხოვოს და კურზუს ციხეები ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვითი ხაზის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ პუნქტებს წარმოადგენდა და სავარაუდოდ, იმ გზას აკონტროლებდა, რომელიც ეგრისის ცენტრალურ მონაკვეთს (დღ. ხონის და მარტვილის რაიონები)

სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებთან (დღ. ჩხორონყუს, ნა-ლენჯიხის და გალის რაიონები) აკავშირებდა. კურზუს ციხიდან აღმოსავლეთით 500 მეტრში გადის გზა, რომელიც ჩხორონყუს რაიონის ჩრდილო მონაკვეთიდან (ოსინდალეს და ნაფიჩხოვოს ციხეები) მოემართება და კურზუს ციხის გავლით მიემართება დასავლეთისკენ, ჯერ მარტვილის (თამაკონის და აბედათის ციხეები) და შემდეგ ხონის (დიდღვაბუნას და ნამაშევის ციხეები) რაიონისაკენ (სურ. 11). შესაბამისად, საფიქრებელია, რომ კურზუს ციხეს აღნიშნული გზის ვიზუალურ კონტროლზე და საჭიროების შემთხვევაში, გზის კონკრეტული მონაკვეთის უსაფრთხოებაზე უნდა ეზრუნა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, ადრეულ შუა საუკუნეებში ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილები, კერძოდ ვარდციხე-როდოპოლისი და ქუთაისი, ქვეყნის ცენტრალურ მონაკვეთებს (თანამედროვე სამეგრელოს რეგიონი) დღევანდელი ხონის რაიონით უკავშირდებოდა. ამას პირველად ყურადღება ცნობილმა რუსმა მკვლევარმა კ. განმა მიაქცია, რომელსაც 1903 წელს დასავლეთ საქართველოში უმოგზაურია და ნოქალაქევი-ხონის გზაზე, მდ. ცხენისწყალზე უნახავს ბამბუას ხიდი, რომელსაც მკვლევარი ძვ. წ. I ს-ში მოღვაწე რომაელი სარდლის პომპეუსის სახელს უკავშირებს [6: 12-143]. იგივე ხიდი უნახავს ნ. ბერძენიშვილსაც და ისიც პომპეუსის ლაშქრობასთან აიგივებს მას [1: 461]. ბამბუას ხიდი მდებარეობს ხონის რაიონის სოფ. ხიდში (GPS კოორდინატები: N42 25.120 E42 29.524; სიმაღლე: 194 მ.), ხიდი ნაგებია კარგად გათლილი, საშუალო ზომის კირქვით, დღეისათვის შემორჩენილია ბურჯების მცირე ფრაგმენტები, ალაგ-ალაგ საპირე წყობებიც კი შეიმჩნევა. მდ. ცხენისწყალზე ამ ხიდის არსებობა თავისთავად მიუთითებს ამ რეგიონში მნიშვნელოვანი გზის არსებობაზე და შესაძლებელია დაფუძნება, რომ ანტიკურ ხანაში და მერეც, მართლაც არსებობდა ასეთი გზა, სადაც იბერიიდან ფაზისში მიმავალმა პომპეუსმაც გაიარა.

ასევე ცნობილია, რომ ანტიკურ ხანაში კოლხეთში გადიოდა ქ. არტაშატიდან სებასტოპოლისისაკენ მიმავალი გზა. ეს გზა დაფიქსირებულია გვიან რომაული პერიოდის (I-IV სს) ანონიმი ავტორის *Tabula Peutingeriana*-ს რუკაზე. რიგი მეცნიერების (ნ. ლომოური, ვ. ჯაფარიძე) მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ გზას უნდა ემოქმედა ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებშიც. ვ. ჯაფარიძის მოსაზრებით, ეს გზა ეგრისის სამეფოს საზღვრებში პირველ ყოვლისა გაივლიდა ქ. როდოპოლისს (რომელსაც მკვლევარი *Tabula Peutingeriana*-ს “*Ad fontem felicem*”-თან

აიგივეებს), შემდეგ კი რიონის მარჯვენა სანაპიროზე ქუთაისის, მოხირისის და ონოგურისის გზით არქეოპოლისისკენ, ხოლო აქედან სებასტოპოლისისკენ მიემართებოდა [5: 142]. კურზუს, ნაფიჩხოვოს და ოსინდალეს ციხეების აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ არტაშატიდან სებასტოპოლისისკენ, ეგრისის ცენტრალურ მონაკვეთებზე გამავალი უმოკლესი გზა, არქეოპოლისიდან ოდნავ ჩრდილოეთით, დღევანდელი მარტვილის და ჩხორონყუს რაიონებზე მდებარეობდა. ამას ადასტურებს კურზუს და ნაფიჩხოვოს ციხეების მდებარეობაც, საიდანაც, დღ. ნალენჯისის და ზუგდიდის რაიონების გავლით შესაძლებელი იქნებოდა მდ. ენგურის იმ მონაკვეთამდე მიღწევა, რომელზეც დღესაც მთავარი მაგისტრალი გადის (თბილისი-სენაკი-ლესელიძე) და სადაც ასევე გამოვლენილია ადრე შუასაუკუნეების პერიოდის სათანჯოს ციხე (ენგურის მარჯვენა სანაპიროზე), აქედან კი ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით გზა მიემართებოდა სებასტოპოლისაკენ. ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კურზუს და ნაფიჩხოვოს ციხეები, ეგრისის სამეფოში გამავალი, მეტად მნიშვნელოვანი, გზის, კონკრეტულ მონაკვეთს იცავდა და აკონტროლებდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975;
2. ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ., 1991;
3. ლომიტაშვილი დ. ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII – ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი), დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003, გვ. 218-232;
4. ლომოური ნ., საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989;
5. ჯაფარიძე ვ., ვარდციხის ნაქალაქარი, თბ., 1986;
6. Ган К., Экскурсия в Накалакеви летом 1903 г., Известия Кавк. отделения импер. московского археол. об-ва, вып. II, 1907.

სურათების აღწერილობა

1. ნაფიჩხოვოს ციხის ჩრდილოეთ კედლის ფრაგმენტი, ხედი ჩრდილოეთიდან;
2. ნაფიჩხოვოს ციხის გეგმა;
3. Google Earth გამოსახულება – კურზუს და ნაფიჩხოვოს ციხეები;
4. მთა, რომელზეც აგებულია კურზუს ციხე, ხედი დასავლეთიდან;
5. კურზუს ციხის გეგმა;
6. ფოსო კურზუს ციხის ჩრდილო-დასავლეთ კედელში;
7. კურზუს ციხის ჩრდილოეთ გალავნის ფასადი;
8. Google Earth გამოსახულება – ეგრისის სამეფოს ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთ სექტორების დამაკავშირებელი გზა;
9. Google Earth გამოსახულება – კურზუს, ნაფიჩხოვოს და ოსინდალეს ციხეები.

Nikoloz Murgulia

Napichkhovo and K'urzu - two new discovered castles of the Egrisi kingdom period from the Chkhorots'q'u and Martvili municipalities

Summary

Two unknown castles were investigated by author during the spring 2010 in Samegrelo region (West Georgia) by the financial support of the British foundation "FaRiG". All of the new discovered monuments appeared to be castles of the 4th-6th centuries.

Unfortunately, we do not have any information about Napichkhovi and Kurzu Castles in Georgian or foreign (Byzantine) historical sources. We have to define the chronology and typology of the castles according to the characteristics of the building and the archaeological material discovered on the sites.

Napichkhovo castle is situated at the east part of the village of Napichkhovo, called 'Leberie'. GPS coordinates: N42 36.119 E42 16.303; Altitude: 430 m.

The castle is completely destroyed. The best surviving part of the castle is the north wall. It has a rectangular plan – 15.0 m. N-S by 11.5 m. E-W externally.


K'urzu Castle is situated in the north of the village of K'urzu, called 'Bodogani'. GPS coordinates: N42 34.779 E42 16.623; Altitude: 458 m.

The castle included fortified walls, two towers, and a defensive ditch, though the castle walls, including the towers are largely destroyed.

Napichkhovo and K'urzu castles were included to the defence system of the North-west part of the kingdom and they use to control the important road connecting south-east part of the Egrisi to the central and north-west parts of the Kingdom.



სურ. 1



სურ. 2




სურ. 3



სურ. 4

კურზუ KURZU




სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9